აკაკი წერეთლის სახელმწიფო
უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
Academic Board of Akaki
Tsereteli State University

თამარ მეფის ქ. № 59
მის: 4600, საქართველო, ქუთაისი

ტელ: (+995 331) 4 21 73 ფაქსი (+995 331) 4 38 33
ელ.ფოსტა atsu@atsu.edu.ge

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
აკადემიური საბჭო

2 მარტი, 2018

დადგენილება №71(17/18)
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის შესახებ

დამტკიცებულ იქნას სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია თანდართული ფორმით.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
უნივერსიტეტის რექტორი: პროფ. გიორგი ღავთაძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში ხორციელდება ორი სახის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა:

1. პროფესიული სტანდარტის საფუძველზე შემუშავებული (საგნობრივი) პროგრამები (მილევად რეჟიმში);
2. ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული (მოდულური) პროგრამები.

I. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩასარიცხი სტუდენტების რაოდენობის დასადგენად:

1. პროფესიული სტანდარტის საფუძველზე შემუშავებული (საგნობრივი) პროგრამების შემთხვევაში ძირითადი განმსაზღვრელია თუ რამდენ სტუდენტზე არის გათვალისწინებული სასწავლო გარემო (A გარემოში სასწავლო მერხების რაოდენობა) და საგნის წამკითხველი კვალიფიციური კადრების არსებობა (მოთხოვნები იხ.აწსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი);
2. ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული (მოდულური) პროგრამების შემთხვევაში ძირითადი განმსაზღვრელია არა მხოლოდ სასწავლო გარემო (A გარემო), არამედ რამდენ სტუდენტზე არის გათვალისწინებული B და C სასწავლო გარემოები და ასევე მოდულის წამკითხველი კვალიფიციური კადრების არსებობა (მოთხოვნები იხ.აწსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი);
   - 2.1. თუ ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული (მოდულური) პროგრამა ითვალისწინებს მხოლოდ A სასწავლო გარემოს, მაშინ ადგილების რაოდენობა იანგარიშება სასწავლო გარემოში არსებული სტუდენტის სასწავლო მერხების რაოდენობის მიხედვით;
   - 2.2. თუ ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული (მოდულური) პროგრამა ითვალისწინებს მხოლოდ A სასწავლო გარემოსთან ერთად B სასწავლო გარემოსაც, მაშინ ადგილების რაოდენობა იანგარიშება არა მხოლოდ A-ს, არამედ B სასწავლო სასწავლო გარემოში არსებული სტუდენტის სასწავლო ადგილების რაოდენობის მიხედვით;
   - 2.3. თუ ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული (მოდულური) პროგრამა ითვალისწინებს მხოლოდ A სასწავლო გარემოსთან ერთად C სასწავლო გარემოსაც, მაშინ ადგილების რაოდენობა იანგარიშება არა მხოლოდ A-ს, არამედ C სასწავლო სასწავლო გარემოში არსებული სტუდენტის სასწავლო ადგილების რაოდენობის მიხედვით.

II. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩასარიცხი სტუდენტების ზღვრული რაოდენობის დასადგენად:

1. პროფესიული სტანდარტის საფუძველზე შემუშავებული (საგნობრივი) პროგრამების შემთხვევაში ორ ცვლაში სასწავლო პროცესის წარმართვის შემთხვევაში ან ერთი წლის მანძილზე ერთდროულად საშემოდგომო და საგაზაფხულო მიღების შემთხვევაში შესაძლებელია სტუდენტთა რაოდენობა გაორმაგდეს;
2. ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული (მოდულური) პროგრამების შემთხვევაში ორ ცვლაში სასწავლო პროცესის წარმართვის შემთხვევაში ან ერთი წლის მანძილზე ერთდროულად საშემოდგომო და საგაზაფხულო მიღების შემთხვევაში შესაძლებელია 2.1, 2.2 და 2.3 პუნქტით გათვალისწინებული ადგილების რაოდენობის გაორმაგება.